# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
# ქ. თბილისი

MES 4 21 0000816227

24/08/2021

**,,სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ს აგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედი ტაციის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის № 1123324 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შ ესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ,,სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის № 1123324 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:
1.1 გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება გადაწყვეტილების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1.2 აღწერილობითი ნაწილის 2.1 პუნქტში გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ნაცვლად მიეთითოს ,,სტომატოლოგია“.

1.3 სარეზოლუციო ნაწილის პირველ და მეორე პუნქტებში გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ნაცვლად მიეთითოს ,,სტომატოლოგია“.

1.4 გადაწყვეტილებისდანართ N1-ში გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ნაცვლად მიეთითოს ,,სტომატოლოგია“.

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს № 816047 სხდომის ოქმის
№ 13 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ 2 საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო 1 დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ